50

ღირსეულად შევხვდეთ საბჭოთა საქართველოს იუბილეს

მხარი დავუჭიროთ თბილისელ ფეიქრებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СССР

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 მაისი პარასკევი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 112 (14716)

ეს ლოზუნგია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავი. ამ დიდი იუბილესთვის მზადება სულ უფრო ფართოვდება. რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდი საწარმოს, პირველი ხუთწლედის პირმშოს — თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივმა შესანიშნავი პატრიოტული ინიციატივა გამოიჩინა. ფეიქრებმა საწარმოებსა და საამქროებში დაწვრილებით შეისწავლეს კომბინატის შესაძლებლობანი, გადდებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს და საქართველოს სარეწველო საწარმოთა კოლექტივებს მიმართეს მოწოდებით მხარი დაუჭირონ მათს თაოსნობას და ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

თბილისელ მემაუდეთა ეს პატრიოტული ინიციატივა გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტის“ 13 მაისის ნომერში. რედაქციაში შემოსული წერილები ნათლად მეტყველებენ, რომ ფეიქრებს მხურვალედ უჭერენ მხარს რესპუბლიკის სარეწველო საწარმოთა კოლექტივები და კონკრეტულ ვალდებულებებს კისრულობენ იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის.

ახლა მთავარია ამ შრომითს აღმავლობას სათავეში ჩაუდგნენ პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები, შეჯიბრების თვითეულ მონაწილეს უნდა შევუქმნათ ყველა პირობა იმისათვის, რომ ვადაზე შეავსრულოთ ნაკისრი ვალდებულება და ამით ღირსეული შრომითი საჩუქარი მოვუმზადოთ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს.

ავამაღლოთ რენტაბელობა, სრულვყოთ ტექნოლოგია

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა, რომელიც გამოეხმაურა დედაქალაქის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ინიციატივას, გაზრდილი ვალდებულებანი იკისრა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ჩარხმშენებლებმა გადაწყვიტეს ხუთწლედის მეხუთე წლის დავალება 25 დეკემბრისათვის შეასრულონ, გეგმის გადამეტებით გამოუშვან 230 ათასი მანეთის პროდუქცია, 1971 წლის ორი თვის გეგმა გაანაღდონ 25 თებერვლისათვის.

ვალდებულებათა ოქმში, რომელიც ქარხნის საერთო კრებამ მოიწონა, აგრეთვე ჩაწერილია: ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვით 1970 წელს გეგმასთან შედარებით 0,7 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, ხოლო 1971 წლის იანვარსა და თებერვალში — 1 პროცენტით. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით, რენტაბელობის ამაღლებით მიიღონ 25 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება; აითვისონ და გამოუშვან 7 ახალი მოდელის მაღალი წარმადობის სპეციალური ჩარხი; დაზოგონ 600 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 120 ტონა შავი ლითონი, 130 ტონა პირობითი სათბობი.

ჩარხმშენებლები მნიშვნელოვან ღონისძიებებს განახორციელებენ ჩარხების დეტალების დამზადების რთული პროცესების სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის. კერძოდ, წელს ზუსტი ჩამოსხმის მეთოდით პლასტიკური მასებისაგან დამზადდება „163“ მოდელის ჩარხის 10 სხვადასხვა დეტალი და 48 დეტალის სხმული. ამ მოდელის ჩარხების დეტალების დამამზადებელ საამქროში წელს ფართოდ დაინერგება დეტალების დამზადების ე. წ. „სარატოვული მეთოდი“, რომელიც პროდუქციის უდეფექტოდ დამზადებას და ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში პირველი წარდგენისთანავე ჩაბარებას ითვალისწინებს.

ქარხნის კოლექტივი იბრძოლებს კომუნისტური შრომის საწარმოს სამამაცო სახელის მოპოვებისათვის, ჩარხმშენებლებმა გადაწყვიტეს საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის საწარმოს ორმა საამქრომ მოიპოვოს კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება, ხოლო წარმოების მაღალი კულტურისა — ორმა საამქრომ და ექვსმა უბანმა.

ᲘᲤᲝᲜᲔᲑᲔᲜ ᲤᲔᲘᲥᲐᲠᲗᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐᲡ

თბილისი მაუდ-კამვოლის კომბინატის კოლექტივის პატრიოტულ ინიციატივას — გაჩაღოს სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ერთსულოვნად დაუჭირა მხარი თბილისის ტყავის № 1 ქარხნის კოლექტივმა. აქ გულდასმით გადახედეს თავიანთ შესაძლებლობებს და ასეთი ვალდებულებები იკისრეს:

გეგმასთან შედარებით პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა გაზარდონ 200 ათასი მანეთით;

გასულ წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 7 პროცენტით, ხოლო პროდუქციის ხარისხი აამაღლონ 2,5 პროცენტით;

დაზოგონ 5 ტონა ტყავ-ნედლეული, 5 ტონა მთრიმლავი მასალები, 10 ტონა გარეცხილი მატყული, 20 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 10 ტონა ქიმიური მასალები;

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით, შრომის ნაყოფიერების ამაღლებით, მასალების მოჭირნეობით ხარჯვით მიიღონ 20 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

მᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲛᲐ ᲘᲙᲘᲡᲠᲔᲡ

ტრესტ „საქშახტმშენის“ კოლექტივმა ერთსულოვნად მოიწონა თბილისელ მემაუდეთა პატრიოტული თაოსნობა. მშენებლებმა გადაწყვიტეს ჩაებან საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსშესანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს კონკრეტული ვალდებულებები:

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულონ პირველი დეკემბრისათვის, მიმდინარე წლისა — 25 დეკემბრისათვის, ხოლო 1971 წლის იანვარ-თებერვლის სამშენებლო-სამუშაოთა გეგმა — 22 თებერვლისათვის;

ვადაზე ადრე დავამთავროთ და საექსპლოატაციოდ გადავცეთ წლიური გეგმით გათვალისწინებული მთელი საწარმოო სიმძლავრენი, მათ შორის ჭიათურის ახალი ითხვისის მაღარო, რომლის წარმადობა 300 ათასი ტონა მარგანეცი იქნება, რგანის მაღარო 50 ათასი ტონა მარგანეცის წლიური წარმადობისა, ზედარგანის მაღარო 50 ათასი ტონა მარგანეცის წლიური წარმადობისა, ჩორდის ბარიტის მაღარო 40 ათასი ტონა წლიური წარმადობისა;

გეგმასთან შედარებით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება შევამციროთ 0,1 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება ავამაღლოთ 0,5 პროცენტით.

სამᲨᲝᲑᲚᲝᲡ — ᲛᲔᲢᲘ ᲛᲝᲒᲔᲑᲐ

ᲒᲝᲠᲘ. (საკ. კორ). ბამბეულის კომბინატის მშრომელებმა დიდი ინტერესით გეიცნეს თბილისელ ფეიქართა თაოსნობას და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის იკისრეს ახალი ვალდებულებანი. გორელ ფეიქართა გადაწყვეტილება ასეთია:

გეგმასთან შედარებით 2 მილიონ 100 ათასი მანეთით გაადიდონ პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა. გეგმის გადამეტებით გამოუშვან 30 ტონა ნართი, 200 ათასი შეტრი ხამი ქსოვილი და 150 ათასი მეტრი მზა ქსოვილი. გეგმასთან შედარებით 1,5 პროცენტით გაუმჯობესონ მზა ქსოვილების ხარისხი; 5 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება; დაზოგონ 40 ტონა ბამბა, 1 მილიონ კილოვატ-საათი ელექტროენერგია და 400 ტონა პირობითი საწვავი; მიიღონ 300 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება, 25 თებერვლისათვის შეასრულონ 1971 წლის ოთხი თვის გეგმა.

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲚᲐᲛᲐᲠᲐ ᲑᲐᲜᲔᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲜᲓᲝᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად წამოაყენეს ამავე ფაბრიკის მოწინავე მქსოველი **ლამარა ზაქარიას ასული ბანეთიშვილი.** დეპუტატობის კანდიდატად იგი რეგისტრირებულია თბილისის ორკონიკიძის საარჩევნო ოლქში.

გუშინ „კომუნისტის“ კორესპონდენტი სამუშაოზე ეწვია ლამარა ბანეთიშვილს და სთხოვა ეამბნა თავის ცხოვრებასა და შრომაზე.

— ჩემი ცხოვრების გზა უბრალო და ჩვეულებრივია. თბილისში ამ თებერვალი წლის წინათ ჩამოვედი მარტყოფიდან. ალბათ გეკითხებათ, აქვე, დედაქალაქის მახლობლად არის ეს სოფელი, ამჟამად გარდაბნის რაიონს ეკუთვნის.

ჯოდა, თბილისში ჩამოველი თუ არა, ბევრი ეოჭმანი და ადგილის ძებნა არ დამიწყია. უკვე ბავშვი არ ვიყავი, 23 წელი მისრულდებოდა. პირდაპირ ფაბრიკას მივაშურე. თავიდანვე ამოჭრილი მქონდა გულში მქსოველი გავმხდარიყავი. პროფტექნიკურ სასწავლებელში მიმიღეს. ორი წელი ვეუფლებოდი აქ ქსოვის ტექნოლოგიას ისეთი გამოცდილი ოსტატების ხელმძღვანელობით, როგორიც, მაგალითად, მირონ ნადარაია. ახლა ის ინვალიდია.

დავამთავრე თუ არა სასწავლებელი, საქსოვ დაზგასთან დამაყენეს. შეგირდობის დროს უკვე საკმაოდ კარგად მქონდა ხელი გაწაფული და ამიტომ მუშაობა თავიდანვე წარმატებით დავიწყე. უკვე პირველ თვეებშივე გეგმებს გადაჭარბებით ვასრულებდი. მერე და მერე უფრო დავოსტატდი.

საქმის სიყვარული რომ არა მქონოდა, არა თუ წარმატებას ვერ მივაღწევდი, ალბათ ამ ხმაურიან დაზგებთანაც ვერ გავძლებდი თერთმეტი წლის განმავლობაში. მაგრამ მე მიყვარს ეს დაზგები (ამჟამად 12 დაზგაზე ვმუშაობ).

თუმცა აქ მარტო მანქანები ხომ არ არიან, არიან ადამიანები, რომლებიც მე მიყვარან და ვიცი მათაც ვუყვარვარ. აი აქ არიან ჩემი მეგობრები მოწინავე მქსოველი ცარო მიოშვილი, ქსოვის ინსტრუქტორი თინა აქიაშვილი, აქ არიან ჩემი უშუალო ხელმძღვანელები საამქროს უფროსი დავლოსტი ჭელიძე, წარმოების უფროსი თამაზ მიქელაძე და სხვა ამხანაგები.

— რა განცდა დაგეუფლათ, დეპუტატობის კანდიდატად რომ დაგასახელეს, მოულოდნელი არ იყო ეს თქვენთვის?

— როგორ გითხრათ? — თქვა ლამარამ, — მოულოდნელი იყო და არც იყო. განა ადრე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად ჩემი ფაბრიკიდან არ იყვნენ არჩეული ჩემივე ამხანაგები თამარ ლაღიძე და ეთერ სოლომონია! მოულოდნელი კი იმიტომ იყო, რომ არ ვიცოდი, არჩეული თუ ჩემზე შეჩერდებოდა.

იმ დღიდან, როცა ფაბრიკაში მოვედი, გავეცანი და შევეთვისე წარმოების კოლექტივს, დარწმუნებული ვიყავი, რომ ვუყვარდი ჩემს ამხანაგებს, მაგრამ წინასაარჩევნო კრებაზე დეპუტატობის კანდიდატად რომ დამასახელებენ, არ შემეძლო მღელვარება დამეფარა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ლამარა ბანეთიშვილი თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მთელი კოლექტივის სასურველი ადამიანია. ამ სურათზე სწორედ ის მომენტია აღბეჭდილი, როცა ფაბრიკის საქსოვი სამაქრო, მეგობრები გულთბილად ულოცავენ დიდ ნდობასა და დაფასებას.

ფოტო ს. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

ᲐᲕᲐᲛᲐᲦᲚᲝᲗ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲪᲘᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ ● № 112 (14716)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲑᲘᲣᲠᲝ განიხილა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს ორგანიზაციული და ორგანიზაციულ-პროპაგანდისტული მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტები, რაიკომები, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები დიდ ორგანიზატორულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მეფრეულ დადგინილებაში ნათქვამია, რომ არჩევნების დებულების შესაბამისად ბევრ ადგილზე დასახლებულია და ზუსტად ხორციელდება საარჩევნო კამპანიის ყველა ღონისძიება. დადგინილ ვადებში შეიქმნა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 74 საარჩევნო ოლქი და 3.050 საარჩევნო უბანი. შექმნილია ყველა საარჩევნო კომისია. მათს შემადგენლობაში დასახელებული არიან ავტორიტეტიანი ადამიანები, რომლებიც ამომრჩეველთა ნდობით სარგებლობენ.

ყველა საოლქო და მეტი წილი საუბნო საარჩევნო კომისიები შექმნისთანავე შეუდგნენ დაკისრებული ფუნქციების შესრულებას.

საარჩევნო ოლქები და უბნები ძირითადად მოთავსებულია საუკეთესო საზოგადოებრივ შენობებში, მათი უმრავლესობა ჯეროვნად არის მოწყობილი და გაფორმებული, უზრუნველყოფილია ყველაფრით, კერძოდ, ლიტერატურითა და კავშირგაბმულობის საშუალებებით.

მშრომელთა წინასაარჩევნო კრებებზე სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში წარგზავნილებად დასახელებული არიან ჩვენი საზოგადოების საუკეთესო, მოწინავე ადამიანები. მათს შემადგენლობაში არიან მუშები — 31,1 პროცენტი, კოლმეურნეები — 20,3 პროცენტი, ქალები — 31,1 პროცენტი, უპარტიოები — 28,4 პროცენტი, ახალგაზრდები 30 წლამდე — 23 პროცენტი.

დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მოიწყო მშრომელთა კოლექტივების კრებები და საოლქო წინასაარჩევნო თათბირები, რომლებიც მიეძღვნა დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებასა და მხარდაჭერას, დამოკიდებულებანი რეგისტრაციია. ყველგან მთავრდება ამომრჩეველთა სიების შედგენა.

ახლა სულ უფრო ჩაღდება წინასაარჩევნო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. რესპუბლიკაში შექმნილია 3.050 აგიტპუნქტი და ამომრჩეველთა კლუბი, რომლებშიც 100 ათასზე მეტი აგიტატორი და პოლიტინფორმატორი მუშაობს. ბევრი პარტიული ორგანიზაცია უნარიანად იყენებს ამომრჩეველთან მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს.

ამასთან ერთად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების საქმეში არის არსებითი ნაკლოვანებანი და ხარვეზები.

პარტიის ცალკეული რაიკომები და საქალაქო კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯეროვნად ვერ ხელმძღვანელობენ საარჩევნო კამპანიას, ღრმად არ სწვდებიან საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების, ამომრჩეველთა კლუბების, აგიტკოლექტივებისა და პოლიტინფორმატორთა ჯგუფების საქმიანობას, არ უწევენ მათ ყოველდღიურ დახმარებას. არის ფორმალიზმი ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში ბევრი პირველადი პარტორგანიზაცია არ იჩენს ჯეროვან პასუხისმგებლობას წინასაარჩევნო კამპანიის მაღალ ორგანიზებულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მოწყობისათვის. საარჩევნო უბნებსა და აგიტპუნქტებში მუშაობისათვის ჩამოყოფილი აქტივი ყველგან როდი ჩაება ორგანიზაციულ და იდეურ-აღმზრდელობითს საქმიანობაში.

მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში ზოგიერთი საარჩევნო უბანი, ამომრჩეველთა კლუბები და აგიტპუნქტები ეკანასკნელ დრომდე არ ყოფილა გაფორმებული, საარჩევნო კომისიებს არ ჰქონდათ მუშაობის გეგმა, მორიგეობის გრაფიკი, ზოგიერთი მათგანი კი საერთოდ არ შესდგომია მუშაობას. დმანისის, ბოლნისის, გარდაბნის, გორის, ქარელის, თეთრი წყაროს რაიონების ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციებში დიდი დაგვიანებით შეუდგნენ აგიტპუნქტების გაფორმებასა და მოწყობას, მათი მუშაობის ორგანიზაციას.

ზოგიერთი საარჩევნო უბანი და აგიტპუნქტი მოთავსებულია შეუფერებელ შენობებში, ცუდად არის გაფორმებული და მოწყობილი, უზრუნველყოფილი არ არის შესაბამისი ლიტერატურით. სერიოზული შეცდომებია წინასაარჩევნო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დაყენებაში მშრომელთა ზოგიერთ კოლექტივში და მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, განსაკუთრებით კომკავშირელთა და ახალგაზრდა ამომრჩეველთა შორის, რომლებიც პირველად მონაწილეობენ არჩევნებში. არის ნაკლოვანებანი ამომრჩეველთა შორის მუშაობისათვის აგიტატორთა და აქტივის შერჩევაში. აგიტატორთა და პოლიტინფორმატორთა ნაწილი სუსტად ერკვევა საბჭოთა საარჩევნო სისტემის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სამინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში. რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ სუსტად არის გაშლილი სალექციო პროპაგანდა, კერძოდ, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორთა ძალებით.

რესპუბლიკური, საქალაქო, რაიონული გაზეთების რედაქციები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტი ჯერ კიდევ საკმაოდ ფართოდ და სრულად არ აშუქებენ წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას, ნაკლებად აქვეყნებენ და გადასცემენ მასალებს პარტიული და საბჭოთა ორგანოების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ არჩევნებისათვის მოსამზადებლად, საარჩევნო კომისიების, აგიტპუნქტების, ამომრჩეველთა კლუბების საქმიანობის, დეპუტატობის კანდიდატების, სოციალისტური დემოკრატიის შესახებ და სხვ.

ნელა ხორციელდება ტელეფონით უშრუნველყოფის ღონისძიებანი. წალკის რაიონის 43 საარჩევნო უბნიდან ტელეფონიზებულია მხოლოდ 30, ცხინვალის № 191 საარჩევნო ოლქის 123 საარჩევნო უბნიდან — 106. ანალოგიური მდგომარეობაა მესტიის და რესპუბლიკის სხვა მთა რაიონებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ რესპუბლიკის კომპარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს წინადადება მისცა უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებანი და ყველაფერი იღონონ ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად. ამისათვის საჭიროა:

გავაძლიეროთ საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელობა, მოვაგვაროთ მათი ზუსტი მუშაობა არჩევნების დებულების შესაბამისად, მკაცრად ვადგეროთ თვალი იმას, რომ ყველგან და ანგუხრელად სრულდებოდეს სსრ კავშირის კონსტიტუციისა და არჩევნების დებულების მოთხოვნები;

განვაახორციელოთ გადაუდებელი ღონისძიებანი პოლიტინფორმატორთა და აგიტატორთა შემადგენლობის განსამტკიცებლად, რათა ამომრჩეველთა კლუბებსა და აგიტპუნქტებში იმუშაონ უფრო მომზადებულმა აქტივისტებმა, რომლებსაც უნარი შესწევთ შინაარსიანი და კვალიფიციური საუბრები და ინფორმაციები გამართონ მოსახლეობის გაზრდილი იდეური და კულტურული მოთხოვნილებების გათვალისწინებით. საარჩევნო უბნებისა და აგიტპუნქტების მუშაობაში უნდა ჩაგებათ მუშები, კოლმეურნეების და სტუდენტი ახალგაზრდობის, ახალგაზრდა პედაგოგების, ინჟინრების, ტექნიკოსების, ექიმების აქტივი და ა. შ.;

თვითეული საარჩევნო უბანში შეექმნათ მიკროუბნები, მივამაგროთ მათ აქტივისტები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან არჩევნების დებულებით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიების განხორციელებისათვის;

განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ამომრჩეველთა სიების შედგენას, არ დაუშვათ, რომ საარჩევნო უფლების მქონე რომელიმე მოქალაქე დარჩეს სიის გარეთ, დროულად შევიტანოთ სიებში ცვლილებანი ერთი უბნის ტერიტორიიდან მეორეზე ამომრჩეველთა გადასვლასთან დაკავშირებით;

დროულად გამოვაქიდოთ ამომრჩეველთა სიები ყველა საარჩევნო უბანში;

გავაჩაღოთ ფართო პროპაგანდა მშრომელთა კრებებზე დასახელებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა ასარჩევად. ორგანიზებულად ჩავიტაროთ ამომრჩეველთა შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან ამომრჩეველთა სალაქო საარჩევნო კრებებზე, საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწყებულებებში, ჯარის ნაწილებში, მიგაღწიოთ, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ყველა კანდიდატი შეხვდეს რაც შეიძლება მეტ ამომრჩეველს. უზრუნველვყოთ იმ წინადადებათა აღრიცხვა, რომლებსაც ამომრჩეველები გამოთქვამენ ამ შეხვედრების დროს, დროულად მოვახდინოთ მათზე რეაგირება;

ფართოდ გამოვიყენოთ მოსახლეობაში ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა ფორმა და მეთოდი, ლექციებ-მოხსენებანი, საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები, ამომრჩეველთა წინაშე დეპუტატების ანგარიშგება, შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან, დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან, მხატვრული თვითმოქმედების საღამოები, დოკუმენტური ფილმების ჩვენება და სხვ. მთელი ორგანიზაციულ-პროპაგანდისტული მუშაობის ძირითად შინაარსად მივიჩნიოთ ის, რომ ღრმად განვუმარტოთ მშრომელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაადგინა რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო, რაიონულ გაზეთებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს ფართოდ და ყოველმხრივ გააშუქონ საარჩევნო კამპანიის მსვლელობა, სხვადასხვა ფორმით მიაწოდონ მსმენელებს მასალები ამ დიდმნიშვნელოვან თემაზე.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს დაევალა უახლოეს დღეებში დაამთავროს სატელეფონო კავშირის დამყარების სამუშაოები, ხოლო ასეთი შესაძლებლობის უქონლობის შემთხვევაში — რადიოკავშირი ყველა საარჩევნო კომისიასთან.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის კომკომამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუჰდეტი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტთან გადაუდებელი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ, რათა საარჩევნო კომისიები უზრუნველყონ საჭირო საარჩევნო მასალებით, ლიტერატურით, პლაკატებით და ა. შ.

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს წინადადება მიეცა გააძლიერონ ახალგაზრდა ამომრჩეველთან ორგანიზაციულ - პროპაგანდისტული მუშაობა, ფართოდ ჩაბას კომკავშირელები და ახალგაზრდობა საარჩევნო კამპანიაში. (საქდესი).

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲔᲖᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 14 მაისი. (საკდესი). 13 მაისს ვარშავაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ა. ნ. კოსიგინი** შეხვდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. **ვ. გომულკას** და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **ი. ცირანკევიჩს.**

შეხვედრის დროს მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ორივე მხარისთვის საინტერესო პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე.

შეხვედრამ გულითადად, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 14 მაისი. (საკდესი). დღეს ვარშავაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი,** შეხვდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **ტ. ჟივკოვს,** რომელიც მეთაურობს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას ეკონომიური ურთიერთთანამშრომლობის საბჭოს 24-ე. სესიაზე.

ა. ნ. კოსიგინსა და **ტ. ჟივკოვს** შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

13 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ საღამოს რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოსულ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის კავშირის ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. **ალოიზ ინდრას** მეთაურობით თბილისელები გულთბილად, გულითადად შეხვდნენ.

აეროდრომზე ჩეხოსლოვაკიელი ხალხის წარმომადგენლებს გულთბილად შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. ა. გოგიჩაიშვილი,** საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე **დ. ვ. გოგოხია,** საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ნ. მელაძე,** საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის კავშირის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე პროფესორი **დ. ო. ლორთქიფანიძე** და სხვა ოფიციალური პირები.

14 მაისს დილით დელეგაციის წევრები **დ. ვ. გოგოხიას** თანხლებით ქალაქში გაემგზავრნენ. ამ მადლიანი მხარის გაცობა დაიწყო ყვარლის რაიონიდან. სტუმრებმა ინტერესით დათვალიერეს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმისა და კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის ექსპონატები. შემდეგ აყვნენ ჭინდმარიულის ღვინის ქარხანაში. დელეგაციის წევრებს აცნობეს, რომ საწარმო ყოველწლიურად ამუშავებს 2.500 ტონა ყურძენს და იღებს 40-50 ათას დეკალიტრ არომატულ ღვინოებს, რომლებიც, კერძოდ, იგზავნება ჩეხოსლოვაკიაში.

შემდეგ ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები თელავის რაიონში გაემგზავრნენ. რაიონის მშრომელთა სახელით მათ მიესალმა საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი **ა. ვარდოშვილი.** მან აღნიშნა, რომ თელაველები მოხარული არიან მოძმ

მსოფლიო დღეს

ჯელ-ავივის ახალი ბანდიტური აქტი

ლიბანის კომუნისტური პარტიის განცხადება • ნასერის ინტერვიუ • გოლდა მეირის ციინიკური განცხადება

ბეირუთი, 13 მაისი. (საკდესი). „ისრაელის ჯარების ვერაგული აგრესია ლიბანის წინააღმდეგ ისრაელის მორიგი ცდაა განახორციელოს თავისი დანაშაულებრივი ექსპანსიონისტური გეგმები, რომელთა მიზანია ლიბანის სამხრეთი ნაწილის „ოკუპაცია“, — წათქვამია ლიბანის კომუნისტური პარტიის განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ანნიდაში“. ისრაელის დანაშაულებრივი აგრესია, აღნიშნულია განცხადებაში, წაიწყდა ლიბანის არმიის, პალესტინელი პატრიოტებისა და ლიბანის სამხრეთი რაიონების მცხოვრებთა მტკიცე წინააღმდეგობას.

ლიბანის კომუნისტური პარტია მოუწოდებს ლიბანის ხალხის მასებს შეაკავშირონ თავიანთი რიგები, რათა გააძლიერონ ბრძოლა სიონისტი აგრესორებისა და მათი ამერიკელი მფარველების წინააღმდეგ.

კაირო, 13 მაისი. (საკდესი). აქაურმა პრესამ გამოაქვეყნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამეალ აბდელ ნასერის ინტერვიუ ამერიკის ჟურნალ „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტის“ კორესპონდენტისადმი.

„პირადად მე მშვიდობის მომხრე ვარ და მძულს ომი. მაგრამ მშვიდობა, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძვით — ეს არის მშვიდობა, რომელსაც საფუძვლად უდევს ღირსება და არა კაპიტულაცია“, — განაცხადა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა.

ყველა არაბს სურს მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში, თქვა პრეზიდენტმა, რომლის მისაღწევად საჭიროა პალესტინელი ხალხის პრობლემის სამართლიანი მოწესრიგება და ისრაელის ჯარების გაყვანა ყველა ოკუპირებული ტერიტორიიდან, მათ შორის იერუსალიმიდან.

ფართო სამხედრო დახმარება, რასაც შეერთებული შტატები უწევს ისრაელს, აღნიშნა ნასერმა, ხელს უშლის ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მშვიდობიან მოწესრიგებას.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა დახმარება, რასაც საბჭოთა კავშირი უწევს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და არაბთა სამართლიან საქმეს. ახლა საბჭოთა კავშირის მეოხებით, თქვა მან, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის განკარგულებაშია მთელი საჭირო სამხედრო ტექნიკა, რათა მოვიგერიოთ აგრესია და დავიცვათ ჩვენი დამოუკიდებლობა.

ტელ-ავივში დაუფარავი გაბოროტებით შეხვდნენ იმას რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს „დაუყოვნებლივ გაიყვანოს ისრაელმა ლიბანის ტერიტორიიდან მთელი შეიარაღებული ძალები“.

გამომწვევი განცხადება გააკეთა დღეს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა გოლდა მეირმა. „საზიზღარი ისტორია უშიშროების საბჭოსთან დაკავშირებით, — თქვა მან, — ცხადყოფს, რომ ეს საბჭო არ არის კომპეტენტური ინსტიტუტი და უიმედოა მოველოდეთ მისგან რაიმე სამართლიანობას. უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებანი არ უნდა გვაღელვებდეს“. ისრაელის მთავრობის მეთაურის ეს ციინიკური განცხადება კვლავ ადასტურებს, რომ აგრესორს განზრახული აქვს მომავალშიც ჩაფუშოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის შესრულება, უგულებელყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი და ხელი შეუშალოს მშვიდობიან მოწესრიგებას ახლო აღმოსავლეთში.

ასეთი „გამოსვლები, ისე როგორც ისრაელის მხედრიონის აგრესიული მოქმედება, მსოფლიო საზოგადოებრიობის სამართლიან აღშფოთებას იწვევს. ისინი ერთხელ კიდევ ცხადყოფენ, რომ პასუხისმგებლობა უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებათა ჩაფუშვისთვის, ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის გაძლიერებისთვის ეკისრება მხოლოდ და მხოლოდ ისრაელს. ტელავიველი ექსტრემისტების მიერ არჩეული გზა საფრთხეს უქმნის არა მარტო მშვიდობას ამ რაიონში, არამედ აგრეთვე თვით ისრაელს. (საკდესი).

უშიშროების საბჭოს სხდომა

ნიუ-იორკი, 13 მაისი. (საკდესი). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ განაახლა ლიბანის ტერიტორიაზე ისრაელის ჯარების შეჭრის საკითხის განხილვა.

ნატოს სამხედრო-საშტაბო წრთვნა

ბრიუსელი, 13 მაისი. (საკდესი). კასტოში (მონსის მახლობლად), ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკში დაიწყო დიდი საიდუმლო სამხედრო-საშტაბო წრთვნა.

ფაქტი კომენტარიით

ინტერვენცია უალბი საბაბით

12 მაისს ისრაელის ჯარების შექანიზებული ქვეგანაყოფი შეიჭრა ლიბანის ტერიტორიაზე არკუბის რაიონში, ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში. ამავე დროს ამ რაიონს ცეცხლს უშენს ისრაელის ავიაცია და არტილერია. ისრაელის მხედრიონი კვლავ ხეკვდილსა და ნგრევას თესავს მეზობელი არაბული სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

ისრაელი წინათაც მიმართავდა შეიარაღებულ პროვოკაციებს ლიბანის წინააღმდეგ, მაგრამ ამაოდ ცდილობდა ამ სახელმწიფოს შანტაჟირებას და დაშინებას, თავისი ნების თავს მოხვევას. ახლანდელი აგრესიული აქცია მარტო გაზრდილი მასშტაბით როდი გამოირჩევა. იგი ცხადყოფს ტელ-ავივის ავანტიურისტულად გაწყობილი წრეების მისწრაფებას კიდევ უფრო გაამწვავონ ვითარება ახლო აღმოსავლეთში.

სამხედრო პროვოკაციები და შანტაჟი კვლავ რჩება ტელ-ავივის ახლანდელი პოლიტიკის საფუძვლად. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ სამხრეთ ლიბანში ახალი შეჭრა მოჰყვა მთელ რიგ აგრესიულ განცხადებებს, რომლებსაც აკეთებდნენ უკანასკნელ ხანს თავდაცვის მინისტრი დაიანი, ისრაელის არშიის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ბარლევი, აგრეთვე სხვა ისრაელი მოღვაწენი, მათ შორის პრემიერ-მინისტრი გოლდა მეირი. დაიანმა ისრაელ ექსტრემისტთა განწყობიღუნი გამოხატა, როცა განაცხადა: „ჩვენი და არაბების კონფლიქტი გადაუჭრელია“.

ისრაელის პრესის ფურცლებზე განუწყვეტლივ გაისმის მუქარა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიის, იორდანიის მიმართ. არ წყდება საჰაერო თავდასხმები ამ ქვეყნებზე, გრძელდება შეიარაღებული შეტაკებანი სუეცის არხის ზონაში.

ამავე დროს დასავლეთის იმპერიალისტური და სიონისტური წრეების აქტიური მხარდაჭერით წარმოებს პრობაგანდისტული კამპანია, რომელიც მოწოდებულია შეცდომაში შეიყვანოს მსოფლიო საზოგადოებრიობა, ჩამოაშოროს მისი ყურადღება ისრაელის მხედრიონის თავხედურ პროვოკაციებსა და თვითნებობას. დასავლეთის პრესის, განსაკუთრებით ამერიკული პრესის გარკვეული ნაწილი კიდევ უფრო ოღვიგებს ტელ-ავივის პროვოკაციებს. ეს, თითქოს ისრაელს „მეუქრებოდნენ“ არაბი მეზობლები. ამ ყალბი საბაბით ვრცელდება კამპანია იმისათვის, რომ შეერთებულმა შტატებმა კიდევ უფრო გააძლიროს ისრაელის სამხედრო ძლიერება. უკანასკნელ დღეებში ვაშინგტონიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ ოკუპაციალური ხელისუფალნი [illegible] რებენ „გადასინჯონ“ და გაადიდონ ისრაელისათვის შეიარაღების მიწოდების, მათ შორის „სკაიჰოკისა“ და „ფანტომის“ ტიპის თვითმფრინავების მიწოდების პროგრამა. სავსებით ცხადია, რომ ამავე მიზანს ისახავს საგარეო საქმეთა მინისტრის ებანის ახალი ვიზიტი ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში.

ისრაელის შეიარაღებული ძალების თავხედური შეჭრა ლიბანში კვლავ ადასტურებს: ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის გაძლიერებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ტელ-ავიველ ავანტიურისტებსა და მათ ამერიკელ მფარველებს. მაგრამ ტელ-ავიველი ექსტრემისტები ვერ მიაღწევენ თავიანთ მიზანს. ისევე როგორც წარსულში, ისინი წაიწყდებიან არაბულ სახელმწიფოთა სულ უფრო მზარდ წინააღმდეგობას, მსოფლიო საზოგადოებრიობის აღშფოთებასა და გულისწყრომას, რომელიც მოითხოვს აილაგმონ აღვირახსნილი აგრესორები, ბოლოს და ბოლოს, განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებანი, რათა შეასრულებინონ მათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუცია. (საკდესი).

კოლიტიკა კარიკატურაში



მსოფლიო იმპერიალიზმის იარაღი.
კარიკატურა ჟურნალ „ოილენშპიგელიდან“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

ამერიკელი ოფიცრები ვიეტნამში

ვაშინგტონი, 13 მაისი. (საკდესი). ამერიკის ოფიციალურ ადგილებში ცნობილია, ამბობენ, ამერიკელ ოფიცრებს, ამერიკელ „მრჩევლებს“ ეკრძალებოდა ბრძოლაში ჩართვა. ეს ბრძანება, ამბობენ, ბოლო ხანს ოფიციალურ ადგილებს ეცნობა. ეს ბრძანება, ამბობენ, ამერიკელ ოფიცრებს

თანამშრომლობა ფართოვდება

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის შერეული კომისიის VII სესია თბილისში

◆

14 მაისს თბილისში გაიხსნა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიური თანამშრომლობის შერეული კომისიის VII სესია.

სესია მიმდინარეობს კომისიის საბჭოთა ნაწილის თავმჯდომარის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის დ. მ. გვიშიანის თავმჯდომარეობით.

სესიაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა საფრანგეთის დელეგაცია საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიურ და ფინანსურ საკითხთა დეპარტამენტის დირექტორის შ. ჰ. ბრეშნეს მეთაურობით.

საბჭოთა დელეგაციაში შედიან სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ბ. ბ. პეტროვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარი სწავლული მდივნის მოადგილე ვ. ა. ფინოგენოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის პირველი განყოფილების გამგე ა. ბ. კოვალიოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის წევრი დ. ნ. პროზოროვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მანქანებისა და მოწყობილობის იმპორტის მთავარი სამმართველოს უფროსი ვ. ნ. სუმაროვი და სხვები.

საფრანგეთის წარმომადგენლები არიან დელეგაციის მოადგილე ინფორმაციის დარგში ჯ. ფალმე, საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი შ. მაზენინი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტექნიკური თანამშრომლობის სამსახურის უფროსი რ. ბონალი, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს მრჩეველი ჯ. ლ. მინარი, მეცნიერული და ტექნიკური კვლევის გენერალური დელეგაციის საგარეო ურთიერთობის სამსახურის დირექტორი შ. რიშმ, სსრ კავშირში საფრანგეთის საელჩოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის მრჩეველი ბ. დიუშარმ და სხვები.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიური თანამშრომლობის შერეული კომისიის VII სესია გახსნა დ. მ. გვიშიანმა. მან იმედი გამოთქვა, რომ ეს სესია, ისე როგორც ყველა წინა სესია, ჩაივლის საქმიან ვითარებაში, ურთიერთგაგების სულისკვეთებით, მეგობრობისა და კეთილმოსურნეობის ვითარებაში და ახალი წვლილი იქნება ჩვენს თანამშრომლობაში.

ათ თვეზე მეტმა განვლო კომისიის წინა სესიის შემდეგ, აღნიშნა ამხ. გვიშიანმა, და ამ ხნის მანძილზე დიდი მუშაობა შესრულდა. საქმიანობას განაგრძობდნენ დარგობრივი სამუშაო ჯგუფები და მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების სამუშაო ჯგუფები. ამუშავებდნენ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება თანამშრომლობას მსხვილი სამრეწველო კომპლექსების შესაქმნელად.

განვლილ პერიოდში, თქვა შემდეგ ამხ. გვიშიანმა, მოიწყო ბევრი შეხვედრა, რომლებზეც განხილული იყო საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები. სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენ საბჭოთა კავშირში მივიღეთ საფრანგეთის მრეწველობისა და სამეცნიერო გაერთიანების მინისტრი ფ. ორტოლი და საფრანგეთის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა დელეგაცია საფრანგეთის პატრონატის ეროვნული საბჭოს პრეზიდენტის პ. იუვენელის მეთაურობით. შეიძლება გაუწვიდებლად ითქვას, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობა არც ერთი დღით არ წყდება.

ამჯერად, განაცხადა დასასრულ ამხ. გვიშიანმა, ჩვენ რამდენადმე შევცვალეთ ტრადიციები იმ თვალსაზრისით, რომ მე-7 სესია მიმდინარეობს არა მოსკოვსა ან პარიზში, როგორც ეს დღემდე იყო ხოლმე, არამედ საბჭოთა კავშირის 15 რესპუბლიკიდან ერთერთი რესპუბლიკის — საქართველოს დედაქალაქში.

მინდა გისარგებლო ამ შემთხვევით და მადლობა გადავუხადო თბილისელ ამხანაგებს გულთბილი მიღებისათვის, რომელიც ორივე დელეგაციას რესპუბლიკის დედაქალაქში გაუწიეს, აგრეთვე იმ მოსამზადებელი მუშაობისათვის, რომელიც მათ ვასწიეს სესიის ჩატარებისა და ორგანიზაციისა. ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ მცირე კომისიის VII სესია შემდგომი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის გაფართოებისა და საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის განვითარების გზაზე, რომ იგი ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

საქართველოს სსრ მთავრობის სახელით სესიის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი რ. ი. ფრუნძე. სესიის მოწყობა საქართველოში, — აღნიშნა ამხ. ფრუნძემ, — სიმბოლურად გამოხატავს სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკის აქტიურ მონაწილეობას საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობაში.

ამხ. ფრუნძემ გააშუქა წარმატებანი, რომლებიც საბჭოთა საქართველომ მოიპოვა თავისი არსებობის 50 წლის მანძილზე. დარწმუნებული ვართ, — განაგრძო მან, — რომ ჩვენი მუშაობა ამ სესიაზე ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას და გაფართოებას.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის დელეგაციის მეთაურმა შ. ჰ. ბრეშნემ. ჩვენ, ფრანგებს, — განაცხადა ბატონმა ბრიუნემ, — შესაძლებლობა მოგვეცა კიდევ უფრო უკეთ გაგვეცნო საბჭოთა კავშირი მთელი მისი მრავალფეროვნებით. დღემდე ჩვენი პირადი შთაბეჭდილებანი მოსკოვით იყო შემოფარგლული. ახლა ჩვენ შეგვიძლია გაგეცნოთ თბილისსაც, და ამით გავაფართოოთ ჩვენი წარმოდგენა თქვენი ქვეყნის სიდიადეზე.

თვითეულ სესიას, — თქვა ბატონმა ბრიუნემ, — თავისი განსაკუთრებული ხასიათი აქვს. საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის შერეული კომისიის მე-7 სესია ისსნება იმ მომენტში, როცა მის მიერ შემუშავებული ბევრი პრობლემა უკვე გადაჭრილია. მიღწეული შედეგებით და გასურვოთ, რომ კვლავაც ღრმავდებოდეს ჩვენი ურთიერთობა. ყველა შესაძლებლობა გვაქვს დავსახოთ გზები ჩვენი თანამშრომლობის კიდევ უფრო ეფექტიანი განვითარებისათვის.

საფრანგეთის დელეგაციის მეთაურმა მადლობა გადაიხადა გულთბილი შეხვედრისა და სტუმართმოყვარეობისათვის.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიური თანამშრომლობის შერეული კომისიის VII სესია განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობისა და მეცნიერულ-ტექნიკური გაცვლის მდგომარეობა, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების საქმიანობა, პატენტებისა და ლიცენზიების, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის, ურთიერთეკონომიური ინფორმაციის გაცვლის დარგში თანამშრომლობის მდგომარეობა.

პირველ სხდომაზე დაიწყო მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობისა და მეცნიერულ-ტექნიკური გაცვლის მდგომარეობის საკითხის განხილვა.

სესიის გახსნის გამო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დ. მ. გვიშიანმა სადილი გამართა. (საქდესი).



**ო

საქართველოს ამბავი

ქართველ მედიკოთა სტუმარი

თბილისში რამდენიმე დღეს იყო სტუმრად ურუგვაელი მეცნიერი-მედიკი, მეანობისა და გინეკოლოგიის დარგის ცნობილი სპეციალისტი, პროფესორი **ემილიო სირიო ფონტი** მეუღლითურთ. იგი სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მოწვევით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და მედიცინის დარგის მეცნიერული კვლევის გასაცნობად.

ურუგვაელი სტუმარი იყო მოსკოვში, ლენინგრადში, თბილისში. იგი განსაკუთრებული ინტერესით ეცნობოდა მეანობისა და გინეკოლოგიის დარგის მეცნიერულ კვლევას, რომელიც საბჭოთა კავშირში წარმოება.

— თქვენი ქვეყნის ნახვის სურვილი, უთხრა პროფესორმა ემილიო სირიო ფონტმა საქმიანის კორესპონდენტს, — მას შემდეგ გამიჩნდა, რაც ნიუ-იორკში ამას წინათ მიმდინარეობდა მეან-გინეკოლოგთა მსოფლიო კონგრესი, რომელზეც საბჭოთა მეცნიერებმა საინტერესო და შინაარსიანი მოხსენებები წაიკითხეს.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა მეცნიერი-მედიკების სახელს უკავშირდება ბევრი თვალსაჩინო სამეცნიერო მიღწევა, რომლებმაც საყოველთაო აღიარება ჰპოვეს. მაგრამ ამაში, რაც მე ვნახე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

სამედიცინო მომსახურება სსრ კავშირში მეტად მაღალ დონეზეა. განსაკუთრებით იგრძნობა ეს, თუ შეეადარებთ ამ დარგის მდგომარეობას კაპიტალისტურ ქვეყნებში. თქვენს ქვეყანაში აღმოფხვრილია კომერცია მედიცინაში — ეს უდიდესი პროგრესია. ალბათ, ახალგაზრდა საბჭოთა ექიმები ჯეროვნად ვერ აფასებენ ამ გარემოებას, რადგან არ იცნან, რა სავალალო მდგომარეობაშია მშრომელთა სამედიცინო დახმარება კაპიტალის ქვეყნებში.

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეანობისა და გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დათვალიერებამ. აქ მოხვედრას დიდი ხანია ვოცნებობდი. შემიძლია მტკიცე რწმენით ვთქვა, რომ თავისი უკანასკნელი მიღწევებით (მაგალითად, ნაყოფის პირდაპირი ელექტროკარდიოგრაფია, ნაყოფის ტვინის სისხლის მიმოქცევის რეგისტრაცია, აგრეთვე მშობიარობის შემამსუბუქებელი მეთოდები) ინსტიტუტის კოლექტივმა გაუსწრო ბევრ ასეთ წამყვან სამეცნიერო დაწესებულებას.

დავესწარი პროფესორ კ. ჩაჩავას ოპერაციებს, რომლებმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. (საქმესი).

საცურავი აუზი ქუთაისში

ქუთაისი. (საკ. კორ.). კარგი საჩუქარი მიიღეს ქუთაისელმა სპორტსმენებმა — მწყობრში ჩადგა ქალაქის ცენტრალური კომპლექსური საცურავი აუზი, რომელიც სამი განყოფილებისაგან შედგება — ცალკე აუზებია გამოყოფილი მცურავებისა და წყალბურთელებისათვის, წყალში მხტომელებისა და ცურვის შემსწავლელთათვის.

საცურავ და წყალში სახტომ აუზებთან მოწყობილია მაყურებელთა 1.200 და 700-ადგილიანი ტრიბუნები. აუზი წლის ყოველ დროს იმუშავებს.

გელათის მარკით — საზღვარგარეთ

ტყიბული. (საკ. კორ.). გელათის ტრანსფორმატორების ქარხანა თავის პროდუქციას — გაზმნათ ტრანსფორმატორებსა და გამშვებ-მარეგულირებელ აპარატურას გზავნის ჩვენი ქვეყნის ოცამდე ქალაქში.

ამ დღეებში გაზმნათი ტრანსფორმატორები გელათური მარკით გაიგზავნა საზღვარგარეთ — ირანსა და ბულგარეთში.

სსრ კავშირის თასზე

მერვედფინალური წყვილები

სსრ კავშირის წლევანდელი თასის გათამაშებაში სიახლეები ცოტა რადა. ძირითადად ეს გამოწვეულია საუკეთესო მოთამაშეთა ნაკრებში გაწვევით და მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობით. თასისათვის ბრძოლის ისტორიაში პირველად მეთექვსმეტედ და მერვედფინალურ ასპარეზობებში მონაწილე გუნდები ორ-ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს. სიახლეა ისიც, რომ თუ ამ შეხვედრებში მეტოქეების თანაბარი მდგომარეობა აღმოჩნდათ, როგორც ქულებით, ისე ბურთების სხვაობით, მაშინ უპირატესობა ეძლევა იმ გუნდს, რომელსაც სსრ კავშირის ნაკრებში მეტი წარმომადგენელი ჰყავს.

ეს წესი უკვე გამოყენებულ იქნა ოდესის „ჩერნომორეცისა" და ლიპეცკის „მეტალურგის" მატჩში. ამ გუნდების პირველი შეხვედრა დამთავრდა 2:2, მეორე — 1:1. როგორც ვხედავთ, მეტოქეებს არა მარტო ქულები, არამედ მიღებული და გატანილი ბურთების სხვაობაც თანაბარი აღმოჩნდათ. ასეთ ვითარებაში თუ ვინ განაგრძობდა თასისათვის ბრძოლას, სსრ კავშირის ნაკრებში „ჩერნომორეცის" მოთამაშის პარკუნაინის ყოფნამ გადაწყვიტა. ოდესელები მერვედფინალში გავიდნენ.

ლენინგრადის „ზენიტმა" მეორე შეხვედრა ვალადივოსტოკის „ლუჩთან" ფრედ (1:1) დაამთავრა, მაგრამ რადგან პირველი მატჩი მოგებული ჰქონდა 2:0, იგი მერვედფინალში გავიდა. ასევე მოხდა მინსკის „დინამოსა" და ოიმპარ-ოლას „სპარტაკის" შეხვედრაში (1:0, 0:0), მინსკელები განაგრძობენ თასისათვის ბრძოლას.

გუშინ შედგა უკანასკნელი ორი მეთექვსმეტედფინალური შეხვედრა. მოსკოვის სპარტაკელებმა დაამარცხეს ვორონეჟის „ტრუდი" ანგარიშით 3:1, ჟიტომირის „აუტომობილისტისა" და მოსკოვის „დინამოს" მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით 1:0.

ამრიგად, ბროლის თასისათვის ბრძოლას 16 გუნდი შემორჩა. მერვედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: ლუგანსკის „ზარია" და კიევის „დინამო", არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი და ლენინგრადის „ზენიტი", მოსკოვის „ტორპედო" და მინსკის „დინამო", თბილისის „დინამო" და ქუთაისის „ტორპედო", ტერნოპოლის „ავანგარდი" და ოდესის „ჩერნომორეცი", ბაქოს „ნეფტჩი" და ტაშკენტის „პახტაკორი", ერევნის „არარატი" და მოსკოვის „დინამო", ვილნიუსის „ეალვირისი" და მოსკოვის „სპარტაკი".

მერვედფინალური შეხვედრები გაიმართება 28 მაისსა და პირველ ივნისს.

ᲥᲣᲗᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ვიტებსკი. 14 მაისი. (სპეც. კორ.). საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის ვიტებსკის ვაკთა ნახევარფინალურ ტურნირზე გათამაშდა ხუთი ტური. მეხუთე ტურში უბილავი დამარცხდა მიკენასთან, გუტმანი — გრიგორიანთან. თბილისელმა მოჭადრაკემ ჩეჩელიანმა კარგ სტილში მოუგო ლობოდას. ჩეტკევიჩ-კაპენგუტის პარტიაში მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. რიგელ პოზიციაშია გადადებული ბაგიროვ-ეტრუკის პარტია.

ხუთი ტურის შემდეგ ლ. ფეტისოვი ჩეჩელიანი, რომელსაც 4 ქულა აქვს. მიკენასს, გრიგორიანსა და კაპენგუტს სამნახევარ-სამნახევარი ქულა აქვთ.

სტარტი აიღეს

პრაღაში ლენინის ქუჩაზე საზეიმოდ აიღო სტარტი 23-ე ტრადიციულმა მშვიდობის ველორბოლამ. მონაწილეობენ 14 ევროპული ქვეყნის, აგრეთვე ალჟირის ველომრბოლები. ტრასა 2.000 კილომეტრს შეადგენს და გადის ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში.

პირველი სამი ეტაპის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში წინა არიან პოლონელები.

კომუნისტი სპორტი

ლ. გაბრიაძე



გარდაიცვალა ძველი პარტიული და სპორტული მოღვაწე ლევანიდ ოსეფის ძე გაბრიაძე. 1930 წლიდან, სოფლისტური შრომის გმირი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

ლ. გაბრიაძე დაიბადა 1906 წელს ტყიბულის რაიონის სოფელ ძუძუნურში, ღარბი ბერეხის ოჯახში. მან გაიარა სასახელო გზა მუშიდან ხელმძღვანელ საბჭოთა-სამეურნეო და პარტიულ მუშაკამდე.

1929 წელს მან წარმატებით დაამთავრა თბილისის ფრუნზეს სახელობის მე-2 საარტილერიო ათასეულის კურსანტთა სკოლა და 1930 წლამდე ამავე ათასეულის მეთაური იყო.

1932 წლიდან ლ. გაბრიაძე მუშაობდა ჯერ გაზეთ „სტალინელის" რედაქციის პარტიული სექტორის ინსტრუქტორად, ხოლო 1936 წლიდან ამავე რედაქციის პარტიული განყოფილების გამგედ.

1937 წელს იგი გადაბაჯადა საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორად, ამავე წელს აირჩიეს საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მესამე მდივნად, ხოლო ორი წლის შემდეგ საქართველოს კპ ქუთაისის რაიონის პირველ მდივნად. იგი 13 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ახალშექმნილ რაიონის პარტიულ ორგანიზაციას. შემდეგ ის სხვადასხვა დროს მუშაობდა საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

ლ. გაბრიაძე არაერთხელ იყო აირჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

1960 წლიდან პერსონალური პენსიონერია.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ლ. გაბრიაძის ღვაწლი. 1949 წელს მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის, „წითელი ვარსკვლავის", „საპატიო ნიშნის" ორდენებით და მედლებით.

მისი ნათელი სხოვნა მუდამ იცავს ხლებს მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

მექსიკის ჭალღლებზე

მსოფლიო პირველობის მასპინძლებმა — მექსიკელებმა თავიანთი ქვეყნის ნაკრების დამარცხება დასავლეთ გერმანიის საკლუბო გუნდ „ბორუსიასთან" მიტანდ მტკივნეულად განიცადეს. ადგილობრივი ჟურნალისტები მწვავე კრიტიკით ეამოვიდნენ გუნდის ხელმძღვანელობას, პირველ რიგში უფროსი მწვრთნელის რაულ კარდენასის წინააღმდეგ. კარდენასმა ნაკრების წევრებს აიკრძალა ინტერვიუები ჟურნალისტებთან და თავის მხრივ გუნდს აღუთქვა ყველა დანაკლისებთან საუბარს.

რუმინეთის ნაკრები 20 კაცის შემადგენლობით ბუქარესტიდან მსოფლიო ჩემპიონატზე მექსიკაში გაემგზავრა. გუნდის შემადგენლობაში შედის 2 მეკარე, 6 მცველი, 4 ნახევარმცველი და 8 თავდასხმელი. ნაკრების მწვრთნელმა ანჯელო ნიკულესკუმ გამგზავრების წინ განაცხადა: მჯერა ჩემი გუნდის შესაძლებლობების. დარწმუნებული ვარ, რომ რუმინელი ფეხბურთელები ჯელაფერს გააკეთებენ მეოთხედფინალში მოხვედრისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ აღიარებულ გუნდებთან, როგორიც არიან ინგლისის, ბრაზილიისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებები. მექსიკაში ჩვენ შემოგვიერთდება მესამე მეკარე და მეშვიდე მცველი.

ᲒᲔᲮᲘᲙᲝᲨᲘ „აიტიკის" სტადიონზე 80 წუთს ვრძელდებოდა მსოფლიოს ჩემპიონების — ორ გუნდად გაყოფილი ინგლისელი ფეხბურთელების საწვრთნელი თამაში. ფეხბურთის მოყვარულებმა აქ პირველად ნახეს ახლახან მექსიკაში ჩამოსული ინგლისელ ფეხბურთელთა ვარჯიში. უყურებდნენ რა მსოფლიო ჩემპიონების თამაშს, მაყურებლები განუწყვეტლივ გაჰყვიროდნენ — ბრაზილია, ბრაზილია! თამაში დამთავრდა პირველი გუნდის წარმატებით 2:1. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ბობი ჩარლტონმა და პატერსმა, დამარცხებულთაგან — კლარკმა.

ᲑᲝᲒᲝᲢᲐᲨᲘ ურუგვაის ნაკრებმა გუნდმა დაამარცხა კოლუმბიის ფეხბურთელთა საკლუბო გუნდი „სანტა ფე" 1:0. ბურთი გაიტანა ესპარაგომ.

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐᲨᲘ გამგზავრების წინ ბულგარეთის ნაკრებმა ორი შემადგენლობით ერთ დღეს ორი მატჩი ჯამართა. დღისით პირველმა შემადგენლობამ მოუგო იუგოსლავიის „პარტიზანს" 4:0, საღამოს მეორე ნაკრებმა — იტალიის „ბრეშიას" 1:0.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა ოსლოში ანგარიშით 2:0 დაამარცხა ნორვეგიის ნაკრები.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა ჰანოვერში სძლია იუგოსლავიის ფეხბურთელებს 1:0.

ᲚᲔᲝᲜᲨᲘ პერუს ნაკრებმა მოუგო ადგილობრივ გუნდს 2:1.

ᲕᲔᲮᲘᲙᲝᲨᲘ მექსიკელმა ფეხბურთელებმა დიდი ანგარიშით — 6:0 დაამარცხეს შოტლანდიის გუნდი „დანდი იუნაიტედი".

ᲤᲠᲔ ᲒᲝᲒᲝᲢᲙᲐᲨᲘ

პირველი მატჩი მექსიკისაკენ მიმავალმა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა გამართა ბოგოტაში კოლუმბიის ჩემპიონ „მილიონარიოსთან". შეხვედრა ფრედ (0:0) დამთავრდა.

მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ტრავმა მიიღო რუდაკოვმა.

საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: რუდაკოვი (კავაზაშვილი), ძოძუაშვილი, შესტერნიოვი (აფონინი), კაპლანი, ლოგჩევი, კისელიოვი, მუნტიანი, ასათიანი, ნოდია, ხმელნიცკი (პუზაჩი), ევრიუუტინი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Კ. Ს. ᲙᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1970-71 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ:

1. ქართული ენა და ლიტერატურა, 2. რუსული ენა და ლიტერატურა, 3. მათემატიკა (ქართული სექტორი), 4. ბიოლოგია (ქართული და რუსული სექტორები), 5. გეოგრაფია (ქართული და რუსული სექტორები), 6. ისტორია (ქართული და რუსული სექტორები), 7. ბიბლიოთეკათმცოდნეობა და ბიბლიოგრაფია (ქართული სექტორი), 8. პედაგოგიური (ქართული და რუსული სექტორები).

ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ:

1. ქართული ენა და ლიტერატურა, 2. რუსული ენა და ლიტერატურა, 3. გეოგრაფია (ქართული სექტორი), 4. ისტორია (ქართული სექტორი), 5. ბიბლიოთეკათმცოდნეობა და ბიბლიოგრაფია (ქართული სექტორი), 6. პედაგოგიური (ქართული სექტორი).

შემსვლელნი არჩეული სპეციალობის შესაბამისად მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი)*, ერთ-ერთ უცხო ენაში (ზეპირი)*.

რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი)*, სსრ კავშირის ისტორიაში (წერა)*, ერთ-ერთ უცხო ენაში (ზეპირი)*.

ისტორიის, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობაზე — იმ ენაში, რომელზეც წარმოგებს სწავლება, და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი)*, სსრ კავშირის ისტორიაში (წერა)*, ერთ-ერთ უცხო ენაში (ზეპირი).

გეოგრაფიის სპეციალობაზე — მათემატიკაში (წერა)*, სსრ კავშირის ისტორიაში (წერა)*, გეოგრაფიაში (ზეპირი)*, იმ ენაში, რომელზეც წარმოებს სწავლება და ლიტერატურაში (წერა).

მათემატიკის სპეციალობაზე — მათემატიკაში (წერა და ზეპირი)* ფიზიკაში (წერა)*, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

ბიოლოგიის სპეციალობაზე — ბიოლოგიაში (წერა)*, ქიმიაში (წერა)*, ფიზიკაში (წერა)*, იმ ენაში, რომელზეც წარმოებს სწავლება და ლიტერატურაში (წერა).

პედაგოგიურ სპეციალობაზე — იმ ენაში, რომელზეც წარმოებს სწავლება და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი)*, სსრ კავშირის ისტორიაში (წერა)*, მათემატიკაში (წერა)*.

ვარსკვლავებით აღნიშნულია მაპროფილებელი საგნები.

შენიშვნა: ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომელთაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას მხოლოდ ერთ-ერთ მაპროფილებელ საგანში: ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, პედაგოგიურ, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობებზე აბარებენ გამოცდას მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი).

გეოგრაფიის სპეციალობაზე — გეოგრაფიაში (ზეპირი),

ისტორიის სპეციალობაზე — სსრ კავშირის ისტორიაში (წერა),

მათემატიკის სპეციალობაზე — მათემატიკაში (წერა და ზეპირი),

ბიოლოგიის სპეციალობაზე — ბიოლოგია (წერა).

მაპროფილებელ საგანში, როგორც წერაში, ისე ზეპირში, გამოცდის ხუთზე ჩაბარებისას თავისუფლდებიან სხვა საგნებში გამოცდების ჩაბარებისაგან, ხოლო „ოთხის" ან „სამის" მიღების შემთხვევაში აგრძელებენ გამოცდების ჩაბარებას სხვა საგნებში.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნეს ინსტიტუტის რექტორის სახელზე შემომსვლელის მიერ შერჩეული ფაკულტეტისა და სპეციალობის აღნიშვნით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი სამუშაოები:

1. საშუალო განათლების სამუშაო (დედანი), საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი — ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებულს წარმოების ხელმძღვანელის მიერ.

განცხადებები მიიღება ყოველდღე, დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე და გაგრძელდება 31 მაისის ჩათვლით.

მიხალები გამოცდები ჩატარდება 1 ივნისიდან 20 ივნისამდე, ჩარიცხვა—21 ივნისიდან 30 ივნისამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲝ: ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. № 57. ტელეფონები: კანცელარია — 29-97; კომუტატორი — 26-17.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲪᲜᲝᲑᲐᲗᲐ ᲙᲣᲗᲮᲔ

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აცხადებს კონკურსს

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია 2.000 მანეთის ოდენობით დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 17 ნოემბრის დადგენილებით და მიენიჭება სამ წელიწადში ერთხელ თვალსაჩინო თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დარგში.

პრემია მიენიჭება აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას დაბადების დღეს — 18 ნოემბერს.

პრემიის მოსაპოვებლად, როგორც წესი, შეიძლება წარმოდგენილ იქნას ცალკეული ავტორთა შრომები. კოლექტიურ ნაშრომებში პრემია მიეცემა ხელმძღვანელებს და ძირითად ავტორებს.

პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომებისათვის დაუშვებელია.

პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს საქართველოს სს რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ, სამეცნიერო-პედაგოგიურ ან სხვა დაწესებულებებში გეგმით თუ გეგმის გარეშე, ან ცალკეულ პირთა მიერ.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნას წელნა სამი წლის განმავლობაში გამოცემული შრომები, მაგრამ გამოცემული არაუგვიანეს ექვსი თვისა განცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომები, რომლებსაც მიენიჭათ ლენინური პრემია, სახელმწიფო პრემია, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების და დარგობრივი აკადემიების პრემიები, პრემიის მოსაპოვებლად არ მიიღება.

ერთსა და იმავე პირს ერთი და იგივე პრემია განმეორებით არ მიეცემა.

შრომა პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნას სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების, უმაღლესი სასწავლებლის, სამეცნიერო საზოგადოების, ენაკის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან ცალკეულ პირთა მიერ.

იმ ორგანიზაციებმა თუ ცალკეულმა პირებმა, რომლებმაც პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატი წამოაყენეს, უნდა წარმოადგინონ შემდეგი მასალა:

1. დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დახასიათებას და განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მეცნიერების განვითარებისათვის.
2. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად.
3. მონაცემები ავტორის შესახებ (ძირითად სამეცნიერო ნაშრომთა სია, მუშაობის ადგილი და თანამდებობა, ბინის მისამართი).
4. ცნობა იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს წინათ არ ჰქონია მინიჭებული ლენინური, სახელმწიფო ან სხვა პრემიები.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად, ერთი თვის განმავლობაში დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა, უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი-4, ძერჟინსკის ქ. № 8, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, წარწერით: „აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად".

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

კავშირგაბმულობის ოდესის ელექტროტექნიკური ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას წარმოებისაგან მოწყვეტით 1970-71 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებზე:

1) რადიოკავშირგაბმულობა და რადიომაუწყებლობა, 2. ავტომატური ელექტროკავშირგაბმულობა, 3. მრავალარხიანი ელექტროკავშირგაბმულობა.

ინსტიტუტი ამზადებს ინჟინრებს ფართო პროფილით: რადიოელექტროტექნიკის, იმპულსური ტექნიკის, რადიორელიური ხაზების, ტელევიზიის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის, შორეული და ფოტოტელეგრაფის კავშირგაბმულობის, ავტომატური სატელეფონო სადგურების, სახაზო საკაბელო ნაგებობათა სპეციალობებით.

განცხადებები გამოცდებზე დაშვების შესახებ მიიღება საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს კადრების განყოფილებაში ა. წ. 1 ივლისამდე, ხოლო თვით ინსტიტუტში განცხადებების მიღება წარმოებს 31 ივლისამდე. შემდეგი მისამართით: ქ. ოდესა, ჩელიუსკინელების ქ. № 1/3.

საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროსთან გახსნილია ოთხთვიანი მოსამზადებელი კურსები ინსტიტუტში შემსვლელთათვის.

მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე. დამატებით ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს კადრების განყოფილებას.

მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12, ტელეფონი 98-45-11.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რადიო

16 მაისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ვ. გოკიელი. პირველი საორკესტრო სიუიტა, 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 08.30 — თვითმოქმედი ანსამბლების კონცერტი, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 11.05 — ბიზე. ნაწყვეტები ოპერა „მარგალიტის მაძიებლებიდან", 11.45 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 12.00 — ციკლიდან „მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში". საუბარი „ინდუსტრიული აზერბაიჯანი", 12.30 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე. 12.45 — ა. პეტროვი. პოემა ორღანისა და ორკესტრისათვის, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ს. ნასიძე. ვოკალური ციკლი „ხალხური პოეზიიდან", 14.00 — სატირულ-იუმორისტული რადიოჟურნალი „შოლტი", 14.30 — მუსიკალური რადიოვიქტორინა, 15.00 — გ. რჩეულიშვილი. ინსცენირებული მოთხრობები, 16.15 — „საკონცერტო დარბაზებსა და თეატრებში", 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის. პიონერული სიმღერები, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — მღერის ვოკალური კვარტეტი „ეკორდი", 19.30 — დ. არაყიშვილი, ნაწყვეტები ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე", 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.30 — ახალგაზრდობისათვის საუბარი „სამშობლო განა მარტო ლამაზი მთებია!", 21.00 — „ძილისპირული", 20.15 — „მწერალი მიკროფონთან", 22.00 — ვ. შუბერტი. მერვე სიმფონია, 22.50 — ი. გეგაძე. საფორტეპიანო დუეტი „ლენინ სოფლად", 23.30 — მუსიკა კინოფილმებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

15 მაისი

10.05 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად ლექცია ქიმიაში, 10.35 — ლექცია ქართულ ენაში, 11.05 — კინონარკვევი, 11.25 — გადაცემა „ჯარისკაცის წერილები", 11.40 — მხატვრული ფილმი „20 წლისა ვარ" (მეორე სერია), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — „გამოცდები იწყება", 18.45 — „ეაზის მწვანე ოპერაციები", 19.05 — პოლიტეკონომიის შემსწავლელთა დასახმარებლად, 19.25 — კინონარკვევი, 19.35 — გადაცემა ციკლიდან „კინონიერების სადარაჯოზე", 20.00 — საბჭოთა კავშირში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის დღეების სახეიმო გახსნა. ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან. შესვენების დროს — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა.

თეატრები

15 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქედუხრელნი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური (ბოლნისის სახალხო თეატრის წარმოდგენა) — ქართლის ჩიარაღლნები; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს; მოზარდ მაყურებელთა ქართული — როცა მთავრდება ბავშვობა (№ 18, 57 აბონ. 3 ს., № 1, 46 აბონ. საკ. 6 ს.); თოჯინების ქართული — ამბავი ბრიყვი ძმობილებისა (11 ს. მე-8 სკოლა, 1 ს. რკინიგზის 1-ლი, მე-8 და 55-ე სკოლები).

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

კომუნისტი | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99 93 03, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99 66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99 87 61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-48, საბჭოთა მშენებლობის — 93 18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93 27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93 95-97, წერილების — 99 73-24, ილუსტრაციის—93-28-54,

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ